აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 49

10 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს) მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში №17 (გოგიტიძე მურად) და №36 (წულუკიძე ჯანსუღი) უმაღლეს საბჭოს წევრობის კანდიდატებს პარტიულ სიაში და საარჩევნო ბარათში დაბადების წელი მითითებული აქვთ (გოგიტიძე მურად - დაბადების წელი 1984 წ, წულუკიძე ჯანსუღი - დაბადების წელი 1985 წ.), რაც ეწინააღმდეგება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას - უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 25 წელი, რაც არ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და 49-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, 49-ე მუხლის მე-3, მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს) პარტიული

სიის რიგით №17 (გოგიტიძე მურად) და №36 (წულუკიძე ჯანსული) კანდიდატებს საარჩევნო რეგისტრაციაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე